

ქართული ტერმინოლოგიის საკითხები

თითოეულ სიტყვას, ტერმინს თავისი ისტორია აქვს და იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ენისა და ერის ისტორიასთან. ეპოქის კვალი დიდხანს რჩება ენაში. ქართული ენის ნასესხობების მიხედვით შესანიშნავად ჩანს, როგორი ხანგრძლივი ისტორია აქვს ქართულ ენას.

ჩვეულებრივი სამეტყველო ენისგან განსხვავებით, სამეცნიერო ენის განვითარება უშუალოდ სამეცნიერო წრეებზეა დამოკიდებული. ქართული ენის საკითხების მეცნიერული კვლევა დაახლოებით მეთექვსმეტი საუკუნიდან იწყება. სწორედ მეთექვსმეტი საუკუნეებში ეყრება საფუძველი ქართულ ტერმინოლოგიას, მეცნიერულ ტერმინთშემოქმედებას. ბერძნული ტერმინთმწარმოებლებისათვის ქართული შესატყვისების დადგენა, ბერძნული ენის „რაბამობის“ ქართული ენის ბუნებასთან სრულად მისადაგება – ასეთი იყო ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელ-ფილოლოგოსთა მეცნიერული ხედვა. სწორედ ამ მიდგომით ეზიარა საქართველო უდიდესი გავლენის მქონე ბიზანტიურ კულტურას თავისთავადობის შენარჩუნებით.

„ენა უნდა დავიცვათ შერყვნილობისგან, ენას უნდა ველოლიავოთ, მოვუაროთ, როგორც დედა თავის პირმშო შვილს“, – წერდა ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძისა და მის თანამედროვეთა მიერ თითოეულ სიტყვაზე ფიქრი, მსჯელობა, გამალებული ტერმინთშემოქმედება, საგაზეთო სტატიებზე ლამეების თენება – მხოლოდ ერთ რამეს – ქართული სამეცნიერო ენის აღორძინებას – ემსახურებოდა.

ენა ცოცხალი ორგანიზმია და ვითარდება, მაგრამ, როგორც ყველა ორგანიზმს, ენასაც სჭირდება განვითარებისთვის აუცილებელი პირობები. აქ კი საზოგადოების აზრი იყოფა: ერთნი ფიქრობენ, რომ ენის განვითარებას ხელს არ უშლის უცხოური ნასესხობები, პირიქით, ამდიდრებს მას. სხვების აზრით კი, უცხო სიტყვები არათუ ავითარებს ენას, არამედ აკარგვინებს ბუნებრიობას.

„მემონაყარი სიტყვები ქვია სიტყვებს, რომელნიც ყოველი საჭიროების გარეშე შემოაქვთ ვიღაც-ვიღაცებს უგუნურობის გამო, უჩიტელი, უჩენიკი, პრისტავი. მოდური სიტყვებიც იგივე ბარბარიზმია, მაგრამ დასახიჩრებული. მაგ.: სკუჩნაობა, კატაობა, დელიკატნობა. ასეთი სიტყვებით საუბრის აჭრელება დიდი უზრდელობა და შეურაცხყობაა გამგონისა. ამით ორი ენა მახინჯდება. იგიც, საიდანაც შეუთრევიათ და იგიცა, სადაც შეუთრევიათ“, – წერდა მე-19 საუკუნის შერყვნილი ქართული ენით შეწუხებული პ. კვიციანიძე.

„მოდური ტერმინების“ გამოყენებისადმი მიდრეკილებას ორი მიზეზით ხსნიდა ვლადიმერ დალი: этому две причины: первая – тщеславие, чванство: мы не знаем все языки; другая – невежество: мы не знаем своего“.

დღეს განსხვავებული სირთულის წინაშე დგას ქართული ენა. ადრე თუ რუსული ტერმინის თარგმნა აუცილებელი იყო, ინგლისური ნასესხობების საწინააღმდეგო ქართველ მეცნიერთა უმეტესობას არაფერი აქვს. ბერძნულ-ლათინური ტერმინების ინგლისური ენის გზით შემოჭრასთან გამკლავებას უმეტესად არც ცდილობენ დარგის სპეციალისტები. ქართულში „საერთაშორისობა“ თითქოს „სავიზიტო ბარათად“ იქცა ტერმინისთვის.

უცხო სიტყვები საქართველოში დღეს, როგორც იტყვიან, „მოდამია“ და, რაც ყველაზე საშიშია სამეცნიერო წრეებშიც კი. მეტიც: ბევრისთვის ეს განათლებულობის განმსაზღვრელია. უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე ქართული სამეცნიერო სტატიების გაგება, უბრალოდ, შეუძლებელია. ხშირად ზმნაც კი აღარ გვხვდება ქართული. ჩვენ ჯერ კიდევ ვიცით, რომ სოციუმი საზოგადოებაა, კოგნიტური – შემეცნებითი, იდენტობა – თავისთავადობა, იგივეობა და ასე შემდეგ, მაგრამ მომდევნო თაობებისთვის მრავალი ქართული სიტყვა არქაულ, მოძველებულ ლექსიკად იქცევა. ეს საკითხი მხოლოდ ქართული ენის მიმართ არ დაისმის, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ საერთაშორისო სიტყვებისადმი უფრო დიდ სიფრთხილეს იჩენენ გერმანელები, ფრანგები, ბერძნები, ირანელები, სომხები, თურქები და სხვები. ეპოქის გავლენას ენა სრულად, ცხადია, ვერ ასცდება, მაგრამ აქ მთავარია სამეცნიერო წრეების ამ საკითხისადმი დამოკიდებულება – იმ სამეცნიერო წრეებისა, რომელთაც ევალებათ ენის „ლოლიავი“, მოვლა-პატრონობა.

„თანამედროვე ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია სარგებლობს სრულიად სხვადასხვა სისტემათა მონაცვლეობით, რომელშიც ერთმანეთშია აღრეული, ერთი მხრივ, საკუთარი ქართული ძირები და აფიქსები. ამის გარდა, ახალი კალკები ევროპული ენებიდან, – წერს დ. მელიქიშვილი, – მეცნიერული ენა თანდათან იტვირთება ტერმინებით. ყოველივე ეს კი შედეგია მეცნიერების დარგების განვითარების სწრაფი ტემპისა, უცხო ენის (ამჟერად ინგლისურის) ძლიერი ექსპანსიისა და აგრეთვე სპეციალისტების სხვადასხვაგვარი პოზიციისა ტერმინთა წარმოების პრინციპებსა და დამუშავების პრობლემისადმი და ზოგჯერ სახელმწიფოებრივი ინდიფერენტიზმიც ამგვარი საკითხების მიმართ“.

ცხადია, ეს დღევანდელი ვითარებაა, მაგრამ უნდა შევნიშნოთ: სახელმწიფოებრივ ინდიფერენტიზმზე სამიში საზოგადოებრივი გულგრილობა, სამეცნიერო წრეების შეუთანხმებელი, განსხვავებული დამოკიდებულება დამლუპველია ენისთვის.

ტერმინთა გაქართულება არცთუ იშვიათად პურიზმად მიიჩნევა, თუმცა ჯერ არავის უკვლევია საგანგებოდ, ქართული ტერმინთშემოქმედების რომელი მიმართულება იყო ქართული ენისთვის წარმატებული, რომელი – არა. X-XII საუკუნეების ქართული ტერმინთშემოქმედება პურიზმად არავის მოუხათლავს, მაგრამ, ცხადია, ამ დროის ქართველ მთარგმნელთა პრინციპები სრულად ემთხვევა ე.წ. პურისტულ მიდგომას. ქართველ მთარგმნელთა მიერ შექმნილი შესანიშნავი ტერმინები დღეს ქართული ენის ძირითადი ლექსიკის შემადგენელი ნაწილია. იგივე შეიძლება ითქვას, ე. წ. სიტყვარისტების, ანუ ტექნიკური ჯგუფის მიერ შექმნილ მრავალ ტექნიკურ ტერმინზე, რომლებიც ქართულში დამკვიდრდა¹.

ტერმინთა გაქართულებისას ხელოვნურობა არის ის უმთავრესი მიზეზი, რომლის გამოც ქართული ტერმინების დამკვიდრებას ეწინააღმდეგება მრავალი მეცნიერი. ცხადია, ტერმინი ყოველთვის თუ არა, ხშირად უჩვეულო და ხელოვნურია თავიდან, ამის შესახებ ილია ჭავჭავაძემ წერდა, როცა ახალი შექმნილი ტერმინების (მო-

¹ მაგრამ, სამწუხაროდ, ვ. კაკაბაძის ჯგუფი კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია ქართულმა საზოგადოებამ „ხელოვნური ტერმინების“ გამო, რამაც მრავალი ტერმინის დამკვიდრებას შეუშალა ხელი.

თხოვნილება, გავლენა, მიმართულება, მეცნიერება) შესახებ მსჯელობდა: „აი, ეს სიტყვები ხომ წმინდა ქართულია, მაგრამ მაინც კიდევ ადვილად გასაგებნი არ არიან, იმიტომ, რომ ახლები არიან, ე. ი. ახლის აზრით და მნიშვნელობით იხმარებიან რასაკვირველია, ამ სიტყვების აზრს შევეჩვევით თავის დროზედ, მაგრამ მანამ შევეჩვევით, იმ დრომდე ეგენი ბნელნი იქნებიან და ძნელად გასაგონნი“.

ტერმინის დამკვიდრებას დრო და რამდენიმე სტატია სჭირდება მხოლოდ. ქართული ენისთვის დღეს ბუნებრივი სიტყვები **წნეხი** და **წნევა**, მრავალი სიტყვის მსგავსად, გამოგონილი და შექმნილია. ვასილ კაკაბაძე იგონებს: „прессование-სთვის საუკეთესო ხალხური ბუნებრივი სიტყვა გვაქვს **წნეხვა** (**საწნეხელი**-ც აქედანაა წარმოშობილი) пресс ამიტომ წნეხი დავარქვით. აქედან давление-ს ფესვად **წნე** ამოვირჩიეთ. გამოვიდა давление წნევა, ამ ორი ცნების (прессование და давление) დაახლოვება ძალიან აამეტყველებს ჩვენს ტერმინოლოგიას. წნეხვა დეფორმაციის გამომწვევი давление არის (ფრანგული passage), წნევა კი – უბრალოდ „დავლენიე“ pression, გაზისთვის. ეს ორი ცნება სინონიმებია“.

თუ ქართული ტერმინოლოგიის ისტორიას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ქართული ძირებით, ფესვებით, მაწარმოებლბით შექმნილი ტერმინები უმეტესად ადვილად მკვიდრდება ენაში. ტერმინთშემოქმედებისადმი ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, უფრო მეტად ავითარებს ენას, ვიდრე საერთაშორისო ტერმინებით მისი შესვლა. ქართული ძირძველი ლექსიკის, ზოგადად ქართული ენის თავისთავადობის შენარჩუნება არსებითად ქართული სიტყვათმარაგისა და სიტყვათმარმოებლების გამოყენების გზითაა შესაძლებელი.

საბოლოოდ ჩვენი დასკვნა ასეთია: ენის საკითხების მიმართ, გარკვეულწილად, პურისტული მიდგომა „გაღმა შედავებას“ ჰგავს, გაღმა შედავებას კი ხშირად გადაურჩენია და ჩვენამდე შემოუნახავს ქვეყანაც და ენაც.

ტერმინთშემოქმედების ხასიათი, ზოგადად, ენასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის და ყველა ქვეყანაში სადავო, საკამათო თემაა. დღეს ამ საკითხებზე მსჯელობა საქართველოში აუცილებელ და საშურ საქმედ უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ენობრივი პოლიტიკის გარეშე ტერმინოლოგია და, ზოგადად, ლექსიკოგრაფია სწორად, სასურველი მიმართულებით ვერ განვითარდება.

ლიტერატურა

მელიქიშვილი 2011 – დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბილისი.

რუს.-ქართ. ტექნ. ლექს. 1920 – რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი), შედგენილი საქართველოს ტექნიკურ საზოგადოების სატერმინო სექციის მიერ, საშევარდნო ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის დამატებით, ტფილისი.

ქართ. სწორმეტყვე. 1888 - ქართული სწორმეტყველება, შედგენილი პ. კვიციანიძის მიერ, თბილისი.

ჭავჭავაძე 1953 – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, თბილისი.

Даль 1989 – Владимир Даль, Толковый словарь живого великого русского языка, I, Москва.